

ხმაურით შეჩერებული პროექტი ურაველში – რატომ ვერ გრძელდება საირიგაციო სისტემის მშენებლობა

მთავარი → [სიახლე](#), [ეკონომიკა](#), [საზოგადოება](#) 11.09.2018

ურაველში, ადგილობრივების პროტესტით შეჩერებული პროექტი, რომელიც ექვსი სოფლის გასარწყავიანებას გულისხმობს, 30 წლის წინ ჩატარებულ კვლევას ეყრდნობა. ამ პროექტის ნაწილი გასაიდუმლოებულია, მშენებლობას კი აწარმოებს ახალციხის მერის ყოფილი კომპანია, რომელსაც ახლა მისი ცოლისძმა ფლობს.



ახალციხეში, სოფელ წყორძაში მცხოვრებ ნონა კორტს წელს კარტოფილის ცუდი მოსავალი აქვს. მიზეზი უწყლობაა: „არ იკეთებს თავებს, ძალიან წვრილი ბოლქვები აქვს. თუ არ იწვიმა იმ წელს მოსავალი არასდროს გვაქვს“.

წყორძაში თითო კომლს, დაახლოებით ერთი ჰექტარი მიწა აქვს, თუმცა იმის გამო, რომ სარწყავი სისტემა არ არსებობს, მხოლოდ ნაწილზე თესავენ, ნაწილზე კი ბალახს თიბავენ. იქაურებს სჯერათ, რომ სოფლიდან ხალხის წასვლის მიზეზიც ესაა, მოსახლეობა განახევრებულია, 50–მდე კომლიდან ახლა წყორძაში 27 ოჯახიღა ცხოვრობს.

სახნავ–სათესი ფართობების ნაწილი აუთვისებელია ანდრიაწმინდაშიც. „ჰექტარნახევარი მაქვს, მაგრამ რომ დავთესო რა აზრი აქვს?! უწყლოდ არაფერი მოდის. აქ რომ წყალი იყოს, მეტ მოსავალს მივიღებდით, გლეხი წინ წავიდოდა, მეხილეობაც განვითარდებოდა და სოფლიდან წასვლაზე აღარავინ იფიქრებდა“, – გვეუბნება ანდრიაწმინდელი გოჩა ინასარიძე.



ახალციხის მერიაში ამბობენ, რომ ამ ორი სოფლის გასარწყავიანება მხოლოდ ურავლის წყლით შეიძლება.

თუმცა, ურავლის წყალზე იმ პროექტის მშენებლობა, რომელიც ახალციხეში ექვსი სოფლის და მათ შორის, ანდრიაწმინდა–წყორძის გასარწყავიანებასაც გულისხმობს, ოთხი თვის წინ შეჩერდა.

შეჩერებული პროექტი

პროექტს არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“ (CIPDD) იაპონიის საელჩოს დაფინანსებით ახორციელებს. საელჩომ ღრელის, ჭაჭარაქის, მინაძის, წყორძის, ახალშენისა და ანდრიაწმინდის თვითღირებით გასარწყავიანებისთვის 209 575 ლარი გამოყო. ამ თანხას ახალციხის ბიუჯეტიდან 37 723 ლარიც დაემატა. საირიგაციო სისტემით 287 ჰექტარი უნდა გასარწყავიანდეს.

სისტემა სათავეს ურავლის წყაროს წყლებიდან იღებს. აქედან წლების წინ ახალციხე სასმელი წყლით მარაგდებოდა. პროექტი სწორედ იმ არსებული სისტემის აღდგენას და ექვსი სოფლის ნაკვეთებამდე ქსელის მოწეობას გულისხმობს.

ურაველში პროექტის განხორციელება ისე დაიწყო, რომ ამის შესახებ ადგილობრივებმა მხოლოდ სოფელში მშენებლების გამოჩენის შემდეგ გაიგეს. მათ ახალციხის მერს ზაზა მელიქიძეს წერილობით (21.05.2018) მიმართეს, უსაყვედურეს და პროექტის შეჩერება მოითხოვეს.

„მდინარეზე განვითარებულია სათევზე მეურნეობა. ამჟამად ფუნქციონირებს, 15–მდე მოზრდილი საკალმახე, მათი წლიური ერთობლივი სიმძლავრე 25–30 ტონა სასაქონლო თევზია. ზაფხულობით ისედაც წყლის ნაკლებობაა და ეს დეფიციტი წყლის სარწყავად გამოყენების შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება, რის გამოც თევზის წარმოება შემცირდება“, – ვკითხულობთ წერილში. ურავლელები ირწმუნებიან, რომ თუ სოფლიდან 300–მდე ჰექტრის მოსარწყავად წყალს წაიყვანენ, ხეობა დაშრება.

თვითმმართველობაში წერილის შეტანიდან 18 დღის შემდეგ ზაზა მელიქიძემ ურავლელებთან საჯარო შეხვედრა გამართა. სხდომა ხუთსაათიანი ხმაურის ფონზე წარიმართა. ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ 300-მდე ჰექტრისთვის თვითღინებით წყლის წაყვანას არ დაუშვებდნენ, რადგან უწყლო სოფელი დაიცილებოდა, საკუთარი პოზიციის დასაცავად კი სასამართლოში ჩივილსაც არ მოერიდებოდნენ. მერი დიდხანს უმტკიცებდა ურავლელებს, რომ ხეობის დაშრობა გამორიცხული იყო, წყალს 270 მმ დიამეტრის მქონე მილებით გაიყვანდნენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წყლის რაოდენობა დაიკლებდა, გადაკეტავდნენ.



საბოლოოდ, შეხვედრა ისე დასრულდა, რომ ადგილობრივებმა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვეს. მერმა და ურავლელებმა შეთანხმებას ვერც ამის შემდეგ, დაახლოებით, ერთ თვეში გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს.

პროექტი 30 წლის წინ ჩატარებულ კვლევას ეყრდნობა

„სამხრეთის კარიბჭემ“ იმის გასარკვევად თუ რას გულისხმობს პროექტი და რაზე დაყრდნობით ხორციელდება ის, CIPDD-დან და ახალციხის მერიიდან პროექტი, ასევე, მის განხორციელებამდე ჩატარებული კვლევები გამოითხოვა.

10-დღიანი ლოდინის შემდეგ, მერიიდან მივიღეთ პროექტის ხარჯთაღრიცხვა და გუგლის ამობეჭდილი რუკა, რომელზეც ის ადგილები იყო მონიშნული, სადაც მილები უნდა აღდგეს. არც ერთ, და არც მეორე დოკუმენტში არ ჩანს, თუ რა რაოდენობის წყლის აღებაა დაგეგმილი ურავლის ხეობიდან და აღდგენილი სისტემა რა პრინციპით იმუშავებს.

შეკითხვაზე, ჩატარდა თუ არა პროექტის დაწყებამდე რაიმე კვლევა, ახალციხის მერმა გარემოს დაცვის სამინისტროს 1963-1988 წლების კვლევაზე მიგვითითა. მისივე თქმით, ამ კვლევის მიხედვით, ურავლის წყლის რესურსი იმხელაა, რომ ახალ პროექტს თავისუფლად ეყოფა, - „მაისში წამში ჩამონადენი არის 10 500 ლიტრი, ივნისში 6 800, ივლისში 3 500, ანუ ეს იმ პერიოდში როცა რწყვის სეზონია. ყველაზე წყალმცირე პერიოდში, აგვისტო-სექტემბერში კი ჩამონადენი წამში 2 500 ლიტრია. ჩვენ კი აქედან, მხოლოდ 40 ლიტრი უნდა ავიღოთ. ეს ამ მდინარისთვის იმდენად მცირეა, რომ ვერც კი იგრძნობს“.



რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სწორედ ამ ადგილზე შეკრებილი წყაროებით ახალციხე სასმელი წყლით მარაგდება, ზაზა მელიქიძე ამბობს, რომ ეს ირიგაციის პროექტის

განხორციელებასთან კავშირში არ არის, რადგან წყლის დებეტი საკმარისზე მეტია: „430 დიამეტრის მილით მოდის დღეს ქალაქში წყალი. ის წამში 185 კუბურ მეტრზე მეტს ვერ ატარებს. პრაქტიკულად, 40 ლიტრზე მეტს ვერც ის 270 მმ დიამეტრის მქონე მილები გაატარებს, რომლებითაც ურაველში საირიგაციო პროექტს ვახორციელებთ“.

შეკითხვაზე, რამდენად შეიძლება დავეყრდნოთ 30 წლის წინანდელ მონაცემებს, მაშინ როცა ამ პერიოდში ქალაქის დიდი ნაწილი განაშენიანდა და წყლის მოხმარება გაორმაგდა კიდევ, ახალციხის მერი გვპასუხობს: „სულ რომ შემცირებული იყოს მარაგი და დავუშვათ დებეტი იყოს 3 500 ლიტრი წამში და აქედან ქალაქმა სასმელად 500 ლიტრი წამოიღოს, 3 000 ლიტრი მაინც გვრჩება და ეს დიდი მარაგია“.

CIPDD: სარეაბილიტაციო პროექტებს კვლევები და ნებართვები არ სჭირდება

პროექტის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციიდან CIPDD–დან, წერილობით გამოთხოვილ ინფორმაციაზე, ვერცერთი დოკუმენტი ვერ მივიღეთ.

ორგანიზაციიდან მოგვწერეს, რომ მათ მიერ შემუშავებული პროექტი მერიიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ცნობებს დაეყრდნო. ეს დოკუმენტებია: „წყლის დებეტის (280 ლ/წმ), სისტემის დატვირთვის შედეგად მდინარის ხარჯის (4.3%); პროექტის შედეგად გასარწყავებული ნაკვეთების მიახლოებული ფართობის (287ჰა); ბენეფიციარების სავარაუდო რაოდენობის (638 შინამეურნეობა); სამუშაოების განხორციელების ადგილის და სარეაბილიტაციო წყალსადენის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებობის; მდინარის წყლის სარწყავად ვარგისიანობის; რეაბილიტაციის შემდეგ ა(ა)იპ მელიორაციის მიერ სისტემის რეგულირების; სოფლებს შორის წყლის განაწილების და დაზიანების შემთხვევაში რეაბილიტაციის შესახებ“.

შეკითხვაზე, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნიათ, წყლის დებეტთან დაკავშირებით, 30 წლის წინ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობა, პროექტის მენეჯერი, მერაბ ცინდელიანი გვპასუხობს: „სახელმწიფომ მოგვანოდა ის ინფორმაცია რაც აქვს, რაც არ აქვს იმას ხომ ვერ მოგვანვდიდა“.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, როცა პროექტი ეხება მხოლოდ არსებულის რეაბილიტაციას და არა რაიმე ახლის გაკეთებას, მას საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N 57. 2009 24 მარტი) ნებართვა, ან რაიმე კვლევის განხორციელება წინასწარ არ სჭირდება. ორგანიზაციაში, ვერც პროექტის სრული ვერსიის გასაჯაროების აუცილებლობას ხედავენ.

„რა უნდა გავასაჯაროვოთ?! მერიამ მოგცათ ტექნიკური რეგლამენტი, სადაც მოცემულია რა კეთდება, სად რომელი ქანჩი ეჭირება, სხვა რა გაინტერესებთ?!“ – კითხულობს ცინდელიანი და ამატებს, რომ სხვა ყველაფერი დანარჩენი სამმხრივი ხელშეკრულების ნაწილია და მისი გასაჯაროების უფლება არ აქვს.

იყო თუ არა საჭირო წინასწარი კვლევა

„ეს სოფლების გასარწყავიანების პროექტია და რაიმე განსაკუთრებულთან შეხება არ გვაქვს. მითუმეტეს რომ ამაში ახალციხის მერია მონაწილეობს. ალბათ

გაუჭირდება თვითმმართველობას დაასაბუთოს, თუ რატომ არაა საჯარო პროექტის დანარჩენი ნაწილი, ან თუნდაც სამმხრივი ხელშეკრულება“, – ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტი გიგი ჩიხლაძე.

მის პოზიციას იზიარებს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ანალიტიკოსი ქეთი გუჯარაიძე. მისი თქმით, ცინდელიანის განცხადება იმის შესახებ, რომ სარეაბილიტაციო პროექტებს ნებართვა და კვლევების ჩატარება არ სჭირდება, არასწორია: „2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნები, რომელის მიხედვითაც გარემოზე გემოქმედების შეფასებას შეიძლება დაექვემდებაროს „სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია“.

ქეთი გუჯარაიძის აზრით, ვინაიდან პროექტის მახასიათებლები უცნობია, გადაჭრით რთულია იმის თქმა, სჭირდება თუ არა დაგეგმილ საქმიანობას წინასწარი გარემოსდაცვითი შეფასება, თუმცა, ასეთი კვლევა რომ გაკეთებულიყო, ურაველში მოსახლეობის



მღელვარებას თავიდან აიცილებდნენ, რადგან მოსახლეობას, შესაძლებლობა ექნებოდა, მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების მიღების პროცესში: „ამ ეტაპზე ყველაზე პრობლემურად მესახება ის, რომ პროექტი, როგორც ჩანს, არ ეფუძნება მდინარის წყლის ხარჯზე მრავალწლიანი დაკვირვების შედეგებს. 1963-1988 წლების დაკვირვების მონაცემები საკმარისი არაა წყლის გადანაწილებაზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. 80–იანი წლების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით კი კლიმატი და გარემო“.

CIPDD–ში გვარწმუნებენ, რომ წყლის სანიტარულ ხარჯის კლება დაუშვებელია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და წყლის შესახებ კანონით ბუნებრივი რესურსები სახელმწიფოს საკუთრებაა, მერია კი ვალდებულია, რომ მასზე ხელმისაწვდომობა ყველას თანაბრად მისცეს. ასევე, თვითმმართველობას არ აქვს უფლება, წყლის სანიტარული ხარჯის კლების შემთხვევაში ვინმეს მისი გამოყენების უფლება მისცეს, იქნება ეს სარწყავი ნაკვეთები თუ საკალმახე მეურნეობები. ასეთ დროს წყალი ყველასთვის დაიკეტება.

CIPDD–ში დასძენენ, რომ „პროექტის ფარგლებში ღრელსა და წყორძაში, კომუნისტების დროს არსებული წყლის ავზების რეაბილიტაციაც მოხდება და მაგალითად, ღამით, წყალი როცა არავის სჭირდება, ავზები გაივსება, შემდეგ კი აქედან სოფლებში განაწილდება“.

იმ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც მერიამ მოგვანოდა, წყლის ძველი ავზების რეაბილიტაციაზე არაფერია ნათქვამი.

მშენებელი კომპანია

ურავლელების უნდობლობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ მშენებელი კომპანიაც აძლიერებს. პროექტს ახალციხის მერის ზაზა მელიქიძის ცოლის ძმის, ხვიჩა ალავიძის შპს „მესხეთი XX“ ახორციელებს.

აღნიშნული კომპანია 2005 წლის 10 აგვისტოსაა რეგისტრირებული და მის საქმიანობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე მოძიებული დოკუმენტების მიხედვით ზაზა მელიქიძე წარმართავს. 2001 წლიდან აღნიშნული კომპანიის 50–50%–იანი წილის მფლობელები ზაზა მელიქიძე და ხვია ალავიძე არიან. 2014 წლის ივნისიდან მელიქიძე აღნიშნულ კომპანიაზე რეგისტრაციას აუქმებს რადგან იგი ამავე წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლად აირჩიეს. ამის შემდეგ კი კომპანიის 100%–იანი წილის მფლობელი და მმართველი ხვია ალავიძე ხდება.

„მესხეთი XX“ CIPDD–იმ შეარჩია. როგორც ორგანიზაციაში გვიხსნიან, იაპონიის საელჩოს მოთხოვნა იყო, რომ რეგიონში მოქმედი მშენებელი კომპანიები მოეძიებინათ და მათ შორის ისეთი შეერჩიათ, რომელსაც ფულადი კაპიტალიც ექნებოდა და შესაბამისი ტექნიკაც. ასეთი კი სწორედ მერის ყოფილი შპს აღმოჩნდა. გადანყვეტილებამდე კიდევ ორი სამშენებლო კომპანია „მშენებელი 2004“ და „ელვა“ განიხილებოდა.

„მშენებელს ბევრი პირობა აქვს ჩადებული იმ ხელშეკრულებაში, რომელიც ვერ გაჩვენეთ, იმიტომ რომ მას ხელს სამი მხარე აწერს და შეთანხმება სჭირდება. გარდა ამისა ჩადებული აქვს სახელმწიფო აუდიტის შემოწმებაც, ანუ როცა პროექტი შესრულდება ყველა კაპიკი შემოწმდება“, – გვეუბნება პროექტის მენეჯერი მერაბ ცინდელიანი.

ახალციხის მერი მისი ყოფილი კომპანიის გამო გამოთქმულ ეჭვებს იმით პასუხობს, რომ ნებისმიერ მშენებელ კომპანიას აქვს უფლება კონკურსსა და ტენდერში მიიღოს მონაწილეობა: „საქართველოში ყველა ყველას ნათესავია და ეგ არაფერს ნიშნავს“.

იაპონიის საელჩოში არც მშენებლის და არც მთლიანად პროექტის ირგვლივ გაჩენილ შეკითხვებს პასუხობენ: „საღიო მედიასთან არ საუბრობს“, – გვითხრეს უწყებაში.

დონორისგან ვერ მივიღეთ პასუხი კითხვაზე, რამდენ ხანს შეიძლება იყოს პროექტი შეჩერებული. ამას ვერც მერიაში და ვერც CIPDD-ში გვეუბნებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციაში ამბობენ, რომ პრობლემის მოგვარება თვითმმართველობის საქმეა: „თუ ეს პროექტი შეწყდა, მომავალში ახალციხის მერიას დონორებისგან თანხის მიღება გაუჭირდება“.

მერი იმედოვნებს, რომ ურავლელებთან მოლაპარაკებები შედეგს გამოიღებს და პროექტი განახლდება.

ურავლელები წყლის დათმობას არ აპირებენ: „თუ წყალი ექვსი სოფლისთვის უნდა წაიყვანონ და ხეობა უნდა დააშრონ, მაშინ ჯობია, სოფელი დაგვაცლევინონ ყველას“.



[თამუნა უჩიძე, ახალციხე]